

სასარგებლო წიაღისეული

საქართველოს მინერალური რესურსების 8.5% სამცხე-ჯავახეთში მდებარეობს (ცხრ. 2.3). რეგიონი მდიდარია შემდეგი რესურსებით: რეგიონი მდიდარია სხვადასხვა სასარგებლო წიაღისეულით. აქ გვხვდება სათბობ-ენერგეტიკული, ლითონური და არალითონური წიაღისეული.

სათბობ-ენერგეტიკული წიაღისეულიდან განსაკუთრებით გამოირჩევა მურა ნახშირი. უდიდესია ახალციხის (ვალეს) საბადო, რომელიც ყველაზე დიდმარაგიანი ქვეყნის მასშტაბითაც. იგი ერთადერთი სამრეწველო მნიშვნელობის მურა ნახშირის საბადოა საქართველოში, თუმცა მოპოვების რთული გეოლოგიურ-გეომორფოლოგიური პირობების გამო, მისი მოპოვება ამჟამად შეწყვეტილია. წიაღისეული მდებარეობს ღრმა ფენებში მდებარეობს, რაც ართულებს მის მოპოვებას და ზრდის მის თვითღირებულებას.

ახალციხის (ვალეს) მურა ნახშირის საბადო მდებარეობს ახალციხის რაიონ-ში, სოფლების ვალესა და ნაოხრების მიდამოებში, ქ. ახალციხიდან დასავლეთით 8-10 კმ მანძილზე, ფოცხოვისწყლის ხეობაში (ქვაბლიანის შესართავთან), ზ.დ. 1000-1600 მ სიმაღლეზე. ნახშირშემცველი ნალექების გავრცელების არეალს უკავია 90-110 კმ². ტყვარჩელის საბადოსთან შედარებით, მარაგი აქ უფრო მეტია და შეადგენს 75-100 მლნ ტ-ს, მაგრამ დაბალი ხარისხისა და სამთო-გეოლოგიური სამუშაოების (რაც ზრდის მის თვითღირებულებას) განხორციელების სირთულის გამო მისი მოპოვება საგრძნობლად შემცირდა და 1980-იან წლებში საერთოდ შეწყდა. საბადოს დაბალია მისი თბოტევადობა, რაც შეადგენს მხოლოდ 2200-4500 კკალ/კგ-ს.

რეგიონს გააჩნია ასევე ტორფის საბადო, რომელიც შეიძლება გამოყენებული იქნეს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით. ტორფის საბადოები შემდეგ ადგილებში მდებარეობს.

ხანჩალის ტორფის საბადო მდებარეობს ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში, ხანჩალის ტბის სანაპიროზე და გადაჭიმულია ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ.

არამადნეული წიაღისეულიდან რეგიონში მნიშვნელოვანია ქისათიბის დიატომიტის საბადო ახალციხის მუნიციპალიტეტში, მდ. ურავლის ხეობაში, ზღვის დონიდან 1,400-1,700 მეტრის სიმაღლეზე. აგებულია მიო-პლიოცენური ასაკის ვულკანოგენური ქანებით – გოდერძის წყება. წყების ზედა ნაწილი წარმოდგენილია დიატომიტის 5 ფენით, რომელთაგან ყველაზე მაღალხარისხოვანია ქვედა ფენა. მისი სისქე საბადოს იცვლება 2.5-იდან 12.5 მ-მდე. ყოფილ სსრკ-ში იგი იყო უდიდესი დიატომიტის საბადო.

საბადოზე არის დიატომიტის 4 სახეობა: ზოლიანი, ნაცრისფერი, ღია ნაც-რისფერი და თეთრი. ამათგან ყველაზე მაღალხარისხოვანია თეთრი. გააჩნია დიდი მარაგები (7.9 მლნ. ტონა, 1981). დღეს საბადოს მარაგი 7,623.6 მ³ აღწევს. დიატომი-ტის დიდი საბადო გამოიყენება ცემენტის, პლასმასის წარმოებაში, საფილტრე მა-სალად ღვინის, ლუდის,

შაქრის წარმოებაში. ელექტრომომწობილობებისა და აკუმულატორების დასამზადებლად.

ახალციხის აქატის საბადოები, ტექნიკური აქატის (ქალცედონის) საბადოები – ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ახალციხის ქვაბულში სოფლების, ბოგის და გიორგიწმინდის ახლოს. განლაგებულია შუაეოცენურ ვულკანოგენურ წყებებში.

გამოიყოფა აქატშემცვლელი ქანების ორი ზოლი – დეპრესიის ჩრდილოეთი (შურდოს საბადო) და სამხრეთი (ჰამაჯ-ზიარეთის საბადო) ნაწილში.

ახალციხის აქატის საბადოებზე ძირითადად მოიპოვებენ მკვრივ ქალცედონს, ქარგიანი (ზოლებიანი) აქატი შედარებით იშვიათია. ეს მინერალები ჩრდილოეთ ზოლში სეკრეციული წარმოშობის ჟეოდების სახით გვხვდება, სამხრეთით – ჟეოდებისა და მილისებრი სხეულების სახით. მუშავდება 1933-იდან. მას დიდი გამოყენება აქვს სუსტი ხელსაწყოების, საიუველირო, ელექტრო აპარატურისა და საათების წარმოებაში. დღესდღეობით აქატის მოპოვება ახალციხის რაიონში არ მიმდინარეობს.

სამცხე-ჯავახეთში დაახლოებით 43.9 მილიონი ტონა ბენტონიტის რესურსებია. ამ უნიკალურ მინერალს მრავალი დანიშნულება გააჩნია: ის ფართოდ გამოიყენება გეოტექნიკურ და საინჟინრო სამუშაოებში სითხისა და ქაფის წაქრმოქმნის თავიდან ასაცილებლად, ძლიერი შემწოვი ეფექტი აქვს მშენებლობაში, სურსათის წარმოებასა და სამედიცინო მრეწველობაში. ეს რესურსები რეგიონის რამდენიმე ადგილას მოიპოვება (ცხრ. 2.5).

ანდეზიტი კონცენტრირებულია ბორჯომის მუნიციპალიტეტში, დაბა ბაკური-ანის ანდეზიტში და ასპინძის მუნიციპალიტეტში სოფ. ხიზაბავრასა და სოფ. სა-როში. განსაკუთრებით ცნობილია დაბა ბაკურიანის ანდეზიტში არსებული ანდეზიტის საბადო, რომლის მარაგი 5 მილიონ კუბურ მეტრს აღწევს და უდიდესია საქართველოში.

ჯავახეთის პლატოს ფარგლებში გავრცელებული ლავური ნაკადები და პიროკლასტური მასალა შეიძლება წარმატებით იქნას გამოყენებული, როგორც მაღალხარისხოვანი სამშენებლო მასალა. ამ მასალას განეკუთვნება მინისებური ქანები, ვულკანური წიდეები, ქვიშები, სხვადასხვა პეტროგრაფიული და ქიმიური შედგენილობის ეფუზივები.

ვულკანური მინის საბადოები საკვლევ რეგიონის ფარგლებში გვხვდება ჭი-ქიანისა და ჩათახის ვულკანური ცენტრების მიდამოებში. გენეტურად ისინი უკავშირდება ზედამიოცენურ-ქვედაპლიოცენურ ვულკანიზმს. ვულკანური მინის მცირე გამოსავლები დაფიქსირებულია სამსარის ქედზე ვულკან ეშტიას მიდამოებში. ვულკანური მინა გამოიყენება მშენებლობაში, ქიმიურ და ნავთობ მრეწველობაში, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში, საუველირო საქმეში და სხვა.

პერლიტებისა და ობსიდიანების ფარავნის საბადო წარმოადგენს მინისებური წარმონაქმნების ერთ-ერთ უმსხვილეს საბადოს (6.291 ათ. მ³) საქართველოში. საბადო განლაგებულია თბილისიდან სამხრეთ-დასავლეთით 85 კმ-ში, წალკისა და ნინოწმინდის რაიონების საზღვარზე. ამ წარმონაქმნების ძირითადი გამოსავლები აღინიშნება ჭიქიანისა და ჩათახის ჩრდილო-აღმოსავლეთ ფედოებზე. ობსიდიანები წარმოდგენილია: შავი, ყავისფერი, მოწითალო-მორუხო და ნაცრისფერი სახესხვაობებით. ობსიდიანებისათვის დამახასიათებელია ობსიდიანები ქიმიური შედგენილობით რიოლითებს შეესატყვისება.

მარეკანიტები ოლითური წარმონაქმნია, შავი და ნაცრისფერი შეფერილობის. გვხვდება პერლიტურ ტუფებში, ძირითადად ლინზების სახით. ქიმიური შემადგენლობით ახლოსაა ლიპარიტულ ტუფებთან. პერლიტები შავი, ღია ნაცრის-ფერი, მოვარდისფრო-ნაცრისფერი შეფერილობისაა. პერლიტების სტრუქტურა მასიური და ფოროვანია.

ვულკანური წიდა წარმოადგენს მნიშვნელოვან არალითონურ ნედლეულს ჯავახეთის პლატოს ტერიტორიაზე. ვულკანური წიდა წარმოდგენილია, როგორც ცალკეული ვულკანური ნაგებობის (შლაკური კონუსები) ისე მოკლე ნაკადების სახით. გენეტურად წიდის საბადოების წარმოშობა ზედაპლიოცენურ-ქვედამეოტხე-ულ ვულკანიზმის ფინალურ მოქმედებას უკავშირდება. წიდის შედგენილობა ანდეზიტებსა და ანდეზიტო-ბაზალტებს პასუხობს.

ვულკანური წიდის სამრეწველო მნიშვნელობის საბადოები: გუნია-კალას, მცირე ფარავნის, სათხეს, კრუგლიას, შიშტეპეს, ემლიკლის, სამხრეთ დალიდაღის, ხანჩალის, ყიზილდაღის, შავნაბადას, გრეჩიშნაიას, თავშანთაფას ვულკანური აპარატები და სხვ. გარდა ამისა, მისი მარაგები წარმოდგენილია ასპინძის რაიონის ტერიტორიაზე (სოფ. ორგორა, სოფ. ზველი). ვულკანური წიდის შედგენილობა ძირითადად ანდეზიტებსა და ანდეზიტო-ბაზალტებს შეესაბამება.

სამცხე-ჯავახეთს ნახევრადმვირფასი და ორნამენტული ქვების რეზერვების მნიშვნელოვანი რესურსი გააჩნია. აქატი (გიშერი) ყველაზე გავრცელებულია რეგიონის ხსენებულ ქვებს შორის. ახალციხისა და ბოდბის აქატი (გიშერი) შესანიშნავი ხარისხისაა და არსებული რეზერვები სამრეწველო მოპოვებისთვის გამოსადეგია.

ჭობარეთის გამარმარილოებული კირქვის საბადო მდებარეობს ახალქალაქის რაიონში 2100–2200მ სიმაღლეზე. საავტომობილი გზის მანძილი საბადოდან ახალქალაქის რკინიგზის სადგურამდე შეადგენს 22 კმ

[<http://www.caumineral.org.ge/geo/investigations.php?key=11>].

რეგიონის საზღვრებში ასევე წარმოდგენილია სხვა მნიშვნელოვანი არალი-თონური წიაღისეული-ბაზალტი (სოფ. საყუდაბელი, სოფ. ორგორა, სოფ. ტოლოში, სოფ. ზველი, სოფ. ხერთვისი, სოფ. ხიზაბავრა, სოფ. სარო), წყალთბი-ლას თაბაშირი, თაბაშირის საბადო აბათხევის ტერიტორიაზე, არალის ბენტო-ნიტური თიხა, მდ. მტკვარზე „მტკვრის“ ქვიშა-ხრემის გამოვლინება, ქ. ბორჯომის ფარგლებში, ტუფი (სოფ. ვარგავი, სოფ. ძველი), ტემენიტი (სოფ. ნაქალაქევი, სოფ. ტოლოში), კლინოპტიოლიტი (ცეოლიტი).

აგურის თიხის მნიშვნელოვანი რესურსები მრავალ ადგილას მოიპოვება [ცხრ. 2.7].

საცხე-ჯავახეთი ძალიან მდიდარია სხვადასხვა თერმული და მინერალური წყლებით კერძოდ, წყალთბილას გოგირდოვანი თერმული წყალი, აბასთუმნის თერმული წყლები, ბორჯომის თერმული წყლები, გურკელისა და ბორჯომის მინერალური წყლები, ყვიბისის თერმული წყლები, ციხისჯვრის თერმული წყლები, წაღვერის მინერალური წყლები, ურაველის მინერალური წყლები, ასპინძის თერმული წყლები, ვარძის თერმული წყლები, ფლატის, ღაღვის მინერალური წყლები, ჩორჩნის, სმაღის თერმული წყლები.